

სარეკლამო აგენტი 020253
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

სარეკლამო აგენტი შექმნილი პროდუქტის გაყიდვა-მომსახურების სპეციალისტია. სარეკლამო აგენტის საქმიანობა ნებისმიერი კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურის აუცილებელი პერსონალია. სწორედ ამ სპეციალობის მქონე ადამიანზეა დამოკიდებული ბიზნესის, დაწესებულების საქმიანობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაცია და წარმატება.

სარეკლამო აგენტის საქმიანობა მარკეტინგის, მათ შორის გაყიდვების მართვის, საზოგადოებასთან ურთიერთობის შემადგენელი აუცილებელი კომპონენტია.

სარეკლამო აგენტის პროფესიული პროგრამა ორიენტირებულია კონკრეტულ პროფესიაზე. მისი პროფესიული კვალიფიკაცია იძლევა მარკეტინგის მიმართულებით კონკრეტულ ცოდნას სარეკლამო სფეროში.

პროფესიის მიზანია, ორგანიზაციის ინტერესების გათვალისწინებით, შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც წარმატებულს გახდის დაწესებულების საქმიანობას. ეს შესაძლებელია იყოს „პროდუქტის, ან/და მომსახურების, ან/და ინფორმაციის გაყიდვა-გავრცელება.

პროფესიის ამოცანაა შეასრულოს, მაგრამ არ შემოიფარგლოს ქვემოთ ჩამოთვლილი სამუშაოებით:

- მასმედიის საშუალებებში რეკლამის აღრიცხვიანობის წარმოება, ინფორმაციის დამუშავება და შესაბამისი პირისათვის გადაცემა, კლიენტის მომსახურება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის გავრცელება;
- გაყიდვის ხერხებისა და ფორმების გამოყენებით შესაბამისი მოქმედება;
- გასაყიდი პროდუქტის პრეზენტაცია;
- ახალი ურთიერთობების დამყარება-განვითარება;
- სარეკლამო ტიპის, რაოდენობის, მოცულობის, პერიოდულობისა და ფორმის განსაზღვრა;
- მარკეტინგული კვლევების საფუძვლების ცოდნაზე დაყრდნობით საქმის დაგეგმვა;
- ხელმძღვანელი და სხვა პერსონალის ობიექტურად ინფორმირება და სხვ.

II. დასაქმების სფერო

სარეკლამო აგენტის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დაიკავოს სარეკლამო აგენტის, გაყიდვების მენეჯერის, სარეკლამო სამსახურის თანამშრომლის ან უფროსის პოზიცია ისეთ კერძო თუ სახელმწიფო ორგანიზაციებში, როგორებიცაა: ტელევიზია, რადიო, გაზეთი, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სარეკლამო სააგენტოები, საკომუნიკაციო ქსელების დაწესებულება, ქარხნები, მწარმოებელი კომპანიები, კავშირგაბმულობის კომპანიები, სამოძრაო სააგენტოები, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები და სხვ.

III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია – სარეკლამო აგენტის პროფესიული განათლება არის ხუთსაფეხურიანი. ყოველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

პირველი საფეხურის სარეკლამო აგენტის პროფესიული პროგრამა მოიცავს 35 კრედიტს. აქედან კრედიტების 60% ეთმობა პრაქტიკას, ხოლო 40% თეორიას; პირველი საფეხურის დამთავრების შემდეგ პირს შეუძლია იმუშაოს და შეასრულოს მარტივი, თუმცა საპასუხისმგებლო, სამუშაო ისეთ დაწესებულებებში, როგორებიცაა: სარეკლამო სააგენტო, მედიაში სარეკლამო განყოფილება, ნებისმიერი დაწესებულების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. მისი მოვალეობები იქნება ადგილზე კლიენტთა მიღება-ინფორმირება, სარეკლამო მასალების, სარეკლამო შეთანხმებების დოკუმენტურად აღრიცხვა-დაგზავნა, ხელმძღვანელი პირის ან სხვა პერსონალისათვის შესაბამისი ინფორმაციის, მასალების მიწოდება, ხელმძღვანელი პირის მითითებების შესრულება.

მეორე საფეხურის სარეკლამო აგენტის პროფესიული პროგრამა მოიცავს 25 კრედიტს. აქედან კრედიტების 60% ეთმობა პრაქტიკას, ხოლო 40% თეორიას; მეორე საფეხურის დამთავრების შემდეგ სარეკლამო აგენტმა იცის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების წარმოება სარეკლამო საქმიანობის მიმართულებით. იგი მუშაობს იმავე სამსახურებში, რაც აღნიშნულია პირველი საფეხურის ნაწილში, თუმცა აქვს უფრო საპასუხისმგებლო ფუნქციები და უფრო მეტად ფლობს კომუნიკაციის ხელოვნებას.

მესამე საფეხურის სარეკლამო აგენტის პროფესიული პროგრამა მოიცავს 25 კრედიტს. აქედან კრედიტების 60% ეთმობა პრაქტიკას, ხოლო 40% თეორიას. ამ საფეხურის დამთავრების შემდეგ პირს შეუძლია იმუშაოს არა მარტო დაწესებულებაში ადგილზე, არამედ კონტაქტი დაამყაროს პოტენციურ დამკვეთებთან, შესთავაზოს მათ წინადადებები და იზრუნოს პროდუქტის გაყიდვაზე.

მეოთხე საფეხურის სარეკლამო აგენტის პროფესიული პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს. აქედან კრედიტების 60% ეთმობა პრაქტიკას, ხოლო 40% თეორიას.

მეხუთე საფეხურის სარეკლამო აგენტის პროფესიული პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს. აქედან კრედიტების 60% ეთმობა პრაქტიკას, ხოლო 40% თეორიას. ამ ორი საფეხურის გავლის შემდეგ პირი მზად არის, იმუშაოს სარეკლამო სამსახურის უფროსად, სარეკლამო სააგენტოებში წამყვან სარეკლამო აგენტად, დაწესებულების მარკეტოლოგის მრჩეველად ან თანაშემწედ სარეკლამო სფეროს მიმართულებით.

IV. დაშვების წინაპირობა – საბაზისო განათლება, გამართული მეტყველება. პირველ და მეორე საფეხურზე სწავლა შეუძლია ფიზიკურად უნარშეზღუდულ პირებს, რომელთა დაშვების წინაპირობაა საბაზისო განათლება და გამართული მეტყველება.

სარეკლამო აგენტის პირველი საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს საფუძვლების ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს მარტივი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>სარეკლამო აგენტის როლი, მნიშვნელობა და საქმიანობის საფუძვლების ცოდნა, მისი ფუნქციები ისეთ დაწესებულებებში, სადაც დაკავებული ექნება სარეკლამო სამსახურის თანამშრომლის პოზიცია, კლიენტთა მიღება-მომსახურება, სარეკლამო საკითხებით ობიექტურად ინფორმირება, საოფისე პროგრამების ცოდნა, ინფორმაციის აღრიცხვა-შენახვა.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სტრუქტურირებულ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შესრულოს მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები, ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.</p>	<p>საოფისე პროგრამების გამოყენებით და ასევე ბეჭდური ფორმით სარეკლამო ინფორმაციის აღრიცხვა, სალარო აპარატის გამოყენება, პირთა ინფორმირება, ხელმძღვანელისათვის ინფორმაციის მიწოდება და შესაბამისი ფორმით მისი წარდგენა; სარეკლამო დაკვეთის შესასრულებლად დაწესებულების პერსონალის სხვადასხვა ჯგუფისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით სარეკლამო დაკვეთის შესრულებაზე გარკვეული პასუხისმგებლობის აღება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა.</p>	<p>ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.</p>	<p>შეუძლია გამართული მეტყველება, მეტყველებისას ლიტერატურული ფრაზების, გამონათქვამების გამოყენება, ეთიკის წესების დაცვით უშუალო და სატელეფონო კომუნიკაციის მნიშვნელობა და ხერხები, პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; ასევე უცხოური ენის საბაზო დონეზე ფლობა.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა.</p>	<p>სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა, მითითებების გათვალისწინება.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს.</p>	<p>აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, იცის თანამშრომლებთან, კლიენტებთან, ხელმძღვანელ პირებთან კომუნიკაცია და მისი მნიშვნელობა.</p>

სარეკლამო აგენტის მეორე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>იცის: არითმეტიკული ამოცანების შესრულება, მისი მნიშვნელობა, გამოყენება და ხერხები, პრაქტიკული ფსიქოლოგიის საფუძვლები და მისი როლი, კინოფილმების, ნაწარმოებების, ისტორიული ნარკვევების, გამოჩენილი მწერლებისა თუ საზოგადო მოღვაწეების შესახებ ინფორმაციის გამოყენების მნიშვნელობა, ხერხები და როლი; სარეკლამო პროდუქტების მრავალფეროვნება და თავისებურებები, მათ შორის განმასხვავებელი ნიშნები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები, ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით.</p>	<p>იცის: სარეკლამო ფორმატები, ზომები, ჩანართები, გამოანგარიშების წესი, სარეკლამო ბადეების შერჩევა-დაანგარიშება, Power point-ში მასალის აწყობა, დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებით შესაბამისი ფორმატის შერჩევა და დამკვეთისთვის მიწოდება, გამარტივებული ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა და აღრიცხვა, მიღება-ჩაბარების აქტის წარმოება, ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ხელშეკრულების დადება, აღრიცხვა-შენახვა, ინვოისის გამოწერა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მიწოდებული ინფორმაცია და ავლენს შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი დასკვნის გარკვეული დამოუკიდებლობით გაკეთების უნარს.</p>	<p>დამკვეთთან ურთიერთობისას წამოჭრილი პრობლემის შესახებ დასკვნის დამოუკიდებლად გაკეთება და შესაბამისი პირების ინფორმირება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული თვალსაზრისით. შეუძლია ელემენტარული დონის კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.</p>	<p>შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროფესიული თვალსაზრისით გამოყენება; ელემენტარული დონის კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით.</p>	<p>შეუძლია დამოუკიდებლად დასკვნების საფუძველზე სხვებთან ერთად მსჯელობისას სწავლა და პროფესიული განვითარება.</p>

ღირებულებები	გათავისებული აქვს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად.	იჩენს პროფესიულ პასუხისმგებლობას, იცის დაწესებულებისათვის თუ რა მნიშვნელობა აქვს მის კომუნიკაციას კლიენტებთან/დამკვეთებთან, სიფრთხილით ეკიდება თითოეულ მათგანს, ასევე ხელმძღვანელი პირისა თუ თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკუთარ, დამოუკიდებლად მიღებულ, გადაწყვეტილებას.
---------------------	---	---

სარეკლამო აგენტის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.	იცის, სარეკლამო სფეროში რეკლამის მიმართ თუ რა დამოკიდებულებები არსებობს, რა მიდგომები და საჭიროებები; იცის ტელე-, რადიო- და ბეჭდვითი რეკლამების ისტორია, მათ შორის განმასხვავებელი ნიშნები, უპირატესობები, ამ ცოდნის საფუძველზე შეუძლია განსაზღვროს, თუ რომელი სეგმენტი დაინტერესდება რეკლამის დაკვეთით; იცის გამოყენებითი ნივთების მნიშვნელობა რეკლამირებისას.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.	სარეკლამო აგენტი არა მარტო ოფისში მომსახურების ხელოვნებას ფლობს, არამედ მას შეუძლია განსაზღვროს პროდუქტის პოტენციური მყიდველი, რომელთანაც დაამყარებს ურთიერთობას, მიაწოდოს მას სათანადო ინფორმაცია, შესაბამისი კომუნიკაციის წესების დაცვით; შეუძლია შეარჩიოს კლიენტისათვის სასურველი და ხელმისაწვდომი წინადადება, განსაზღვროს მოთხოვნები და მომავალი თანამშრომლობის ფორმები, სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრის გამოყენება, დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომის შეფასება, სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევა და მისადაგება; დაგეგმოს ვიზიტები, განსაზღვროს პოტენციური კლიენტებისათვის შესათავაზებელი წინადადებები, სარეკლამო წინადადებების გაგზავნა-გავრცელება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; შეუძლია პროდუქტის პრეზენტირება საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებებით.
დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების შეფასება და ანალიზი, შესაბამისი ქმედება, ხელმძღვანელი პირების ინფორმირება.

	სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	ფლობს კომუნიკაციის ხელოვნებას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ამ პროფესიის ადამიანისათვის, იცის საუბრის მანერის, ჟესტიკულაციის მნიშვნელობა, ახასიათებს აქტიურობა, ყურადღებიანი მოპყრობა, პასუხისმგებლობა; შეუძლია ინფორმაციის ზუსტად და ობიექტურად მიწოდება-მიღება.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	წინასწარ შეუძლია განსაზღვროს ამოცანები და ამის მიხედვით დამოუკიდებლად გაიდრმოს ცოდნა.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	ადგილზე მომსახურების პროცესში თუ ვიზიტის პერიოდში გრძნობს პასუხისმგებლობას, პატივს სცემს მეორე მხარის პოზიციასა და დამოკიდებულებას, თუნდაც ის იყოს არაარგუმენტირებული, იყენებს ყველანაირ ხერხს პოზიტიური განწყობის შესაქმნელად და იცის, რომ „კლიენტი ყოველთვის მართალია“.

სარეკლამო აგენტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	იცის: სარეკლამო დიზაინის საფუძვლები, ხელოვნების ისტორია, მისი როლი და გამოყენების საშუალებები, მარკეტინგის საფუძვლები, მარტივი კვლევები, მათი ანალიზი, პრობლემების გადაჭრის პროცესში ინფორმაციის გამოყენების ტექნიკა; ბაზრებზე ცვლილებებზე დაკვირვების მეთოდები, საქმიანი ურთიერთობისას პირთა ფსიქოლოგიური დამოკიდებულებები; იცნობს უცხოეთის გამოცდილებას და ამ სფეროს განვითარების ისტორიას.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური	იცის მარკეტინგის მნიშვნელობა და როლი სარეკლამო სფეროში; შეუძლია ბაზარზე ცვლილებების მონაცემთა შეგროვება, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში სანდო ინფორმაციის წყაროების გამოყენება, წამოჭრილი ამოცანების დასაძლევად ხელმძღვანელ პირთან

	ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	კონსულტაცია, მიღებული პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე სტრატეგიის დაგეგმვა და შედეგების განსაზღვრა; იცის სარეკლამო ხელშეკრულების შედგენა, სარეკლამო პროდუქტისა თუ მომსახურების პრეზენტირება.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება, სარეკლამო წინადადებების მომზადება და მათი გაგზავნა სხვადასხვა ტექნოლოგიის გამოყენებით.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	სიფრთხილით ეკიდება თითოეული ინფორმაციის მიწოდებას, როგორც დამკვეთებისათვის, ასევე ხელმძღვანელი პირებისათვის, იცის ციფრებისა და სხვა ინფორმაციის შეგროვების დროს დაშვებული შეცდომების შედეგთა შესახებ და პასუხისმგებლობით ეკიდება თითოეულ ნაბიჯს.

სარეკლამო აგენტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>იცის სარეკლამო დიზაინის ისტორია და საფუძვლები, თანამედროვე ხელოვნება, მედიის ისტორია, სარეკლამო დიზაინის სახეები და მისი როლი სარეკლამო სფეროში პროდუქტის გაყიდვისას: აქვს მარკეტინგული პრინციპების უფრო ღრმა ცოდნა, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; შეუძლია პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობების (საზღვრების) გაცნობიერება; იცის: საავტორო უფლებები და მისი მნიშვნელობა, ეთიკა, კლიენტთა შესახებ ინფორმაციის მოპოვების მნიშვნელობა.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია: სარეკლამო დიზაინის დამამზადებელს გაუმზადოს დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისი წინადადება, სარეკლამო პროდუქტის დამზადების პროცესში შეიტანოს ცვლილებები, კორექტივები; განსაზღვროს ამა თუ იმ პროდუქტის გაყიდვისათვის ბაზრის სარეკლამო საშუალებიდან რომლის გამოყენება იქნება ეფექტური; განსაზღვროს მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღება; შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად; არის უფრო კრეატიული და მიჰყვება, სწავლობს, აკვირდება ბაზრის თანამედროვე მოთხოვნილებებს, რის შედეგადაც განსაზღვრავს სამომავლო გეგმებს.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება; კრეატიული აზროვნება ხელს უწყობს ცვალებად სიტუაციებში დასკვნის გაკეთებაში და შესაბამის ქმედებაში.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და</p>	<p>შეუძლია: იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება; უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის</p>

	საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	წარდგენა.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულების შეფასება და ხელმძღვანელ თუ დაწესებულების სხვა პერსონალთან მათი გაზიარება, მსჯელობა საქმის წარმატებულად დასრულებისათვის.